



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკური პიარტექნოლოგიები, სამაგისტრო პროგრამა
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

დასკვნა

შეფასების თარიღ(ებ)ი - 12 თებერვალი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი - 12 აპრილი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პოლიტიკური პიარტექნოლოგიები Political Public Relations Technologies
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი Master of Public Relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0414 მარკეტინგი და რეკლამა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
--	--

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელი ბიბილაშვილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შემოიტანოს პოლიტიკური პიარტექნოლოგიების, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ქვედარგის, ცალკე სწავლება სამაგისტრო საფეხურზე. ეს საინტერესო წამოწყებაა, რომელიც, სწორად განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს პოლიტიკურ გარემოში, გააჯანსაღებს პოლიტიკური კომუნიკაციის სივრცეს და ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას ქვეყანაში. პოლიტიკური პიარტექნოლოგიები დიდი ხანია ცალკე სპეციალობად ისწავლება მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოში სფეროს განვითარებისთვის გადადგმული ეს ნაბიჯი საჭირო, დროული და მისასალმებელია

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 12 თებერვალს. კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, შეფასება განხორციელდა დისტანციურად, zoom პროგრამის მეშვეობით. შეხვედრები შედგა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომელნიც აგრეთვე ჩართულნი არიან პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში. შეხვედრა ასევე გაიმართა მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აკრედიტაციის ექსპერტებმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორთან ერთად მიმოხილეს სასწავლო რესურსები და ონლაინ რეჟიმში გაეცნენ ბიბლიოთეკის სამეზო სისტემას, ბაზებსა და პროგრამისთვის შექმნილ რიდერებს. აკრედიტაციის ექსპერტებმა, აგრეთვე ონლაინ, zoom პლატფორმის პირდაპირი ჩართვის რეჟიმში დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა - აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაცია და ა.შ.

შეფასება განხორციელდა პროფესიულ, თანამშრომლობით გარემოში.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პოლიტიკური პიატექნოლოგიების საგამისტრო პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს, თუმცა პროგრამის სრულყოფისათვის საჭიროა მეტი მუშაობა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, რომლის სრულყოფაც აუცილებელია პროგრამის გამართული და წარმატებული განხორციელებისათვის.

• **უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ**

2021 წლის 19 მარტს ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც ღია სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაგზავნა თავისი არგუმენტირებული პოზიცია, სადაც მოცემულია ქვემოთაღნიშნულ რეკომენდაციებზე უსდ-ს კომენტარები. აღსანიშნავია, რომ უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია არაფრით არ განსხვავდება აკრედიტაციის ჯგუფის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის დროს გამართული შეხვედრებისას მოწოდებული ინფორმაციისაგან და კომენტარებისაგან. პოზიცია ზოგადია და არ ეყრდნობა მტკიცებულებებს, აგრეთვე შეიცავს უზუსტობებს. მაგალითად, არგუმენტირებული პოზიცია განმარტავს, რომ სილაბუსების არც ძირითად და არც დამხმარე რესურსად არ არის მითითებული არისტოტელეს „პოეტიკა“, მაშინ როდესაც სილაბუსი „სიტყვის წერა“ მე-12 კვირის ძირითად ლიტერატურად სწორედ ამ წიგნს მოიხსენიებს.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, მაგრამ ამასთანავე მიაჩნია, რომ უსდ-ს ნამდვილად ჰყავს საკმარისად კვალიფიციური პერსონალი იმისთვის, რომ როგორც ხარისხიანი სამაგისტრო პროგრამა შექმნას, ასევე წარმოდგენილ პროგრამაში არსებული ხარვეზები მარტივად მოაგვაროს მაქსიმუმ 1 წლის განმავლობაში, თუმცა ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მზაობა რეკომენდაციების გაზიარებისათვის, რაც არგუმენტირებულ პოზიციაში ნაკლებად იქნა გაჟღერებული.

ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ იმსჯელა და გადახედა ქვემოთმოცემულ რეკომენდაციებს და თვლის, რომ აღნიშნული ცალსახად გააუმჯობესებს პროგრამის განვითარების შესაძლებლობებს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, თუ უსდ კვლავაც არ გაიზიარებს შეთავაზებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს, მაშინ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული პროგრამის შეფასება (მეტწილად შესაბამისი სტანდარტებთან) არ იქნება ადეკვატური/თანმიმდევრული.

როგორც უკვე აღნიშნულია, ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „პოლიტიკური პიატექნოლოგიები“ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში სიახლეს წარმოადგენს; ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება სიახლის დანერგვას სფეროში და სურვილი აქვს, რომ ეს პროგრამა განვითარდეს, დაიხვეწოს და დაწესებულებამ კიდევ ერთხელ მოახდინოს საჭიროებების შეფასება.

▪ **რეკომენდაციები**

- რეკომენდირებულია სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სამაგისტრო საფეხურისათვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები;

- აუცილებლად უნდა შეიქმნას პროგრამაზე მიღების დოკუმენტი, რომელიც გამჭვირვალედ ასახავს სტუდენტთა მიღების პროცესს და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების მოთხოვნებსა და შეფასების კრიტერიუმებს;
- მიღების დოკუმენტი განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობა;
- აუცილებელია, შემუშავდეს ცალკეულ საგნებზე დაშვების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა - კომპონენტები და კურსები გაიწეროს ზოგადიდან დარგობრივამდე (შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებით), რაც წარმოადგენს სწავლების შედეგების მიღწევის ლოგიკურ წინაპირობას;
- აუცილებელია გადაიხედოს პროგრამის შინაარსი და მისი სავალდებლო ნაწილი გამდიდრდეს ისეთი კურსებით, რომელნიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური კომინიკაციის სპეციალისტისთვის აუცილებელი უნარების განვითარებას;
- აუცილებელია, გადაიხედოს სილაბუსებში შემავალი ძირითადი ლიტერატურა და ჩანაცვლდეს დარგში არსებული უახლესი და, რაც მთავარია, სამაგისტრო დონის ადექვატური და მრავალფეროვანი ლიტერატურით;
- აუცილებელია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილ იქნეს პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურით;
- აუცილებელია, შემუშავდეს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის კონცეფცია, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტების ადექვატურ ჩართვას კვლევითი მიმართულებით;
- აუცილებელია, გადაიხედოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების სია, რათა სტუდენტების პრაქტიკა დაიგეგმოს იმ ორგანიზაციებში, რომელნიც ადექვატურია მათი დარგობრივი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის;
- სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების ერთ-ერთი ნაწილი აუცილებლად უნდა იყოს რეცენზირება დარგის სპეციალისტის მიერ, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით უნარების განვითარებას;
- რიგ სილაბუსებში მიზანშეწონილია ფინალური დავალება სამაგისტრო დონის ადექვატური გახდეს;
- აუცილებელია, გადაიხედოს შეფასების მეთოდები და სადაც საგნის სპეციფიკა იძლევა საშუალებას, ჩანაცვლდეს წერითი გამოცდით, რათა შეფასების მეთოდები უფრო გამჭვირვალე გახდეს;
- აუცილებელია დეტალურად გაიწეროს სტუდენტის ხელმძღვანელობის მექანიზმები სადიპლომო ნაშრომზე/პროექტზე/პრაქტიკაზე მუშაობის დროს.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, კურსის რიდერებში შემავალი ლიტერატურა ჩამოთვლილი იყოს სილაბუსში;
- სასურველია, სამაგისტრო პროექტი სტუდენტის ინდივიდუალური ნაშრომი იყოს (და არა - ჯგუფური), რათა გაადვილდეს შეფასების პროცესი;
- სასურველია, დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის დაკომპლექტების წესი და ვადები და შეტანილ იქნას სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციაში;

- სასურველია, აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების გაფართოვება;
 - სასურველია, აკადემიური პერსონალის პროფესიული და კვლევითი უნარების განვითარების მკაფიო მექანიზმის შემუშავება და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება ამ მექანიზმების შესახებ;
 - სასურველია, მედია მონიტორინგის სწავლება განხორციელდეს სპეციალური კომპიუტერული პროგრამების საშუალებით;
 - სასურველია, ბიუჯეტი არსებობდეს არა ცალკეული დოკუმენტის სახით, არამედ პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმის ნაწილი იყოს.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

 - ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პოლიტიკური პიარტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამას არ გააჩნია ანალოგი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. ეს გახლავთ ამ მიმართულებით სამაგისტრო საფეხურზე სწავლების დანერგვის პირველი მცდელობა და უკვე ამით იპყრობს ყურადღებას. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური პიარტექნოლოგიები, პოლიტიკური კომუნიკაცია, პოლიტიკური მარკეტინგი წლებია დამოუკიდებლად ისწავლება დასავლეთის მრავალ ცნობილ უნივერსიტეტში (როგორცაა, მაგალითად, ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლა, გოლდსმიტის უნივერსიტეტი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი ვაშინგტონში და სხვ.) საქართველოსთვის, როგორც ახალგაზრდა დემოკრატიისთვის, ამ პროგრამის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა შესაძლებელი გახდეს საარჩევნო სივრცის პროფესიონალებით დაკომპლექტება და პოლიტიკური პროცესების დემოკრატიის მაღალი სტანდარტების შესაბამისად წარმართვა.
- პროგრამა სრულ თავსებადობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების და შემოქმედებითი აზროვნების მოქალაქე. პროგრამის მიზანი ეხმიანება საქართველოს შრომის ბაზრის საჭიროებებს და გათვლილია, რომ მოამზადოს და შესაბამისი უნარებით აღჭურვოს კურსდამთავრებულები, რომელნიც თავიანთ წვლილს შეიტანენ საქართველოში დემოკრატიული პროცესების განმტკიცებაში, ჯანმრთელი პოლიტიკური დიალოგის უზრუნველყოფაში და თავიანთი საქმიანობით ხელს შეუწყობენ დემოკრატიული,

<p>ანგარიშვალდებული და პასუხისმგებლიანი საზოგადოების, მთავრობის და პოლიტიკური ჯგუფების შექმნასა და განვითარებას; კომუნიკაციისა და მართვის თანამედროვე, ეთიკური და მაღალპროფესიული დასავლური სტანდარტების დანერგვას და განმტკიცებას.</p> <p>პროგრამის მიზნები ნათლად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული, მათი მიღწევის გზები მკაფიოდაა დასახული. მიზნები მიღწევადია და შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, აგრეთვე ასახავს თუ რა კომპეტენციის მქონე პროფესიონალის მომზადებას ემსახურება სამაგისტრო პროგრამა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის არ ჰქონია ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა პროგრამას თან ერთვის ბაზრის მიმოხილვა/ანალიზი. აგრეთვე, დამსაქმებლების ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი პროგრამას იცნობენ და ადასტურებენ მის საჭიროებას</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტის მისია ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პრფესორებთან, მოწვეულ პერსონალთან და პოეტნიურ დამსაქმებლებთან ○ შრომის ბაზრის ანალიზი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის ჩამოყალიბებას დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგები რიგ შემთხვევებში ზედმეტად ორიენტირებულია საბაზისო ცოდნის განვითარებაზე და მოითხოვს მეტ დახვეწას სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად. პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებული უნდა იყოს ღრმა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე და თავი აარიდოს საბაზისო ცოდნისა და მხოლოდ ძირითადი თეორიების სწავლებას.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. პროფესორებთან, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან საუბრისას ნათლად გამოიკვეთა, რომ ისინი ჩართულნი არიან მონაცემთა შეგროვების, შეფასებისა და ანალიზის ყველა საფეხურზე.
- შეფასების პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მიღებული შედეგები დაეხმაროს პროგრამას სრულყოფასა და გაუმჯობესებაში.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სამიზნე ნიშნულები ○ სილაბუსები ○ ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პრფესორებთან და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან ○ შრომის ბაზრის ანალიზი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სწავლის შედეგებში რეკომენდირებულია უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სამაგისტრო საფეხურისათვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის		✓		

მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
--	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამაზე მიღების წინაპირობები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე მიღება ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრებების შედეგების მიხედვით. პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ინგლისური ენის სათანადო დონეზე ფლობა, რაც მოწმდება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით. ეს წინაპირობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან პროგრამაში შემავალი ორი კურსი მთლიანად ინგლისურ ენაზეა, აგრეთვე სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ნაწილიც ინგლისურ ენაზეა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულიად ლოგიკურია, თუმცა პროგრამას თან არ ახლავს მიღების დოკუმენტი, რომელიც ვერც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იქნა მოძიებული. შესაბამისად, არსად არ არის ჩამოყალიბებული შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები და ის ცოდნა, რომელიც ამ გასაუბრებებით მოწმდება. მსგავსი დოკუმენტის (მიღების პროცედურების მკაფიო და გამჭვირვალე აღწერა) აუცილებელია, რათა მაგისტრანტობის კანდიდატებმა კარგად გაიაზრონ პროგრამის მოთხოვნები. ეს ინფორმაცია აუცილებელია მისაღები გამოცდისა და გასაუბრებების შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფადაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პერსონალთან
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- მისაღები გამოცდებისა და გასაუბრებების უწყისები, რომელნიც დამატებით იქნა მოწოდებული ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- აუცილებლად უნდა შეიქმნას პროგრამაზე მიღების დოკუმენტი, რომელიც გამჭვირვალედ ასახავს მიღების პროცესს და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების მოთხოვნებსა და შეფასების კრიტერიუმებს;
- მიღების დოკუმენტი განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა ითვალისწინებს უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამა დაგეგმილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, ისევე როგორც დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის შემუშავების მთელ პროცესში.
- პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, ამასთან სხვადასხვა კურსები სხვადასხვა კრედიტების რაოდენობას ანიჭებს სტუდენტს, კურსის მასალიდან და სირთულიდან გამომდინარე. ლოგიკურადაა წარმოდგენილი პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მოიცავს ისეთ საგნებს, რომელთა სწავლება იშვიათია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და, შესაბამისად პროგრამა ემსახურება ამ ახალი კურსების სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავებასა და დანერგვასაც, რაც, უდავოდ, მისასალმებელია.
- თუმცა სილაბუსების დეტალური შესწავლისას დადგინდა, რომ რამდენიმე კურსში დუბლირებულია თემები და ლიტერატურა, ამასთანავე, პროგრამაში სავალდებულო სახე არა აქვს ან საერთოდ არ გვხვდება ისეთი საგნები, რომელთა სწავლებაც აუცილებელია თანამედროვე გარემოში, მაგალითისთვის ონლაინ მარკეტინგი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ონლაინ ტექნოლოგიები, სოციალური მედია და ღონისძიებების დაგეგმვა. პოლიტიკური კომუნიკაცია დღეს ამ კომპეტენციების განვითარების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია.
- პროგრამის შინაარსი იმგვარადაა აგებული, რომ ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, თუმცა, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში შემავალი საგნების უმრავლესობას არ გააჩნია წინაპირობა და, შესაბამისად, არღვევს პროგრამის სტრუქტურის ლოგიკურობას. მართალია, პროგრამას თან ახლავს საგნების სემესტრებად გადანაწილების სტრუქტურა, მაგრამ ეს არ გახლავთ საკმარისი სწავლის თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.
- პროგრამა არ მოითხოვს სტუდენტისაგან სამაგისტრო ნაშრომის დაწერას. სამაგისტრო ნაშრომი ჩანაცვლებულია პრაქტიკით სხვადასხვა ორგანიზაციებში და

ამ პრაქტიკის განმავლობაში შესრულებული ანგარიშითა და პროექტით. სტუდენტები საწარმო პრაქტიკაში ერთვებიან სწავლების მეოთხე სემესტრში სემესტრის დასრულებისას სტუდენტი იცავს პრაქტიკის ანგარიშს და წარადგენს შემუშავებულ პროექტს სპეციალური კომისიის წინაშე. ანგარიშისა და პროექტის დებულება ბუნდოვანია და შესაბამისად, გაურკვეველი რჩება, რამდენად უზრუნველყოფს სტუდენტებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც აუცილებელი პირობაა სამაგისტრო პროგრამისათვის.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა
 - თვითშეფასების ანგარიში
 - სილაბუსები
 - ვიზიტის დროს გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესორებთან
 - მისაღები გამოცდებისა და გასაუბრებების უწყისები, რომელნიც დამატებით იქნა მოწოდებული ვიზიტის დროს.

- რეკომენდაციები:**
- აუცილებელია, შემუშავდეს ცალკეულ საგნებზე დაშვების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა - კომპონენტები და კურსები გაიწეროს ზოგადიდან დარგობრივამდე (შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებით), რაც წარმოადგენს სწავლების შედეგების მიღწევის ლოგიკურ წინაპირობას.
 - აუცილებელია გადაიხედოს პროგრამის შინაარსი და მისი სავალდებულო ნაწილი გამდიდრდეს ისეთი კურსებით, რომელნიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური კომუნიკაციის სპეციალისტისთვის აუცილებელი უნარების განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის თითოეულის სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნებაა. ასევე მისასაღმებელია, რომ კურსების პედაგოგები ხშირ შემთხვევაში დარგის პრაქტიკოსები არიან, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად, ასევე სტუდენტების მომავალი დასაქმების კუთხითაც.
- სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სირთულესა და სწავლის შედეგებს. ამასთანავე, კურსების სწავლის შედეგები გაზომვადი და ლოგიკურია
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსების სილაბუსებში შემავალი ძირითადი თემები და ლიტერატურა მეტ დახვეწას მოითხოვს, რათა სწავლება სფეროს აქტუალურ მიღწევებზე იქნეს დაფუძნებული. სხვადასხვა სავალდებულო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა ხშირად გახლავთ დუბლირებული და/ან ზედმეტად მარტივი სამაგისტრო სწავლებისათვის. მაგ. სამაგისტრო სწავლებაში და ზოგადად აკადემიურ გარემოში სრულიად მიუღებელია მნიშვნელოვანი თეორიების „ვიკიპედია“-ზე და პოპულარულ ლიტერატურაზე (როგორცაა, მაგალითად „მარკეტინგი მარტივად“ – „Marketing for Dummies“) დაყრდნობით სწავლება. ასევე, სამაგისტრო დონისთვის ზედმეტად მარტივია

კურსის განმავლობაში მხოლოდ ერთი სახელმძღვანელოს გამოყენება ძირითადი ლიტერატურისათვის.

- ასევე რამდენიმე სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია „რიდერი“, ერთეულ შემთხვევებში „რიდერი“ სწავლების ერთადერთ რესურსს წარმოადგენს, რაც სამაგისტრო დონისთვის მიუღებელია. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მითითებული რიდერები და რამდენიმე სახელმძღვანელო ვერ მოიძებნა ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებლით.
- უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელოვანი მიზანი და განაცხადია საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე სიახლის შემოტანა, რასაც აუცილებლად სჭირდება ადეკვატური ლიტერატურით პროგრამის გამდიდრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- კურსების სილაბუსები
- ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის რესურსების დათვალიერება
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესორებთან

რეკომენდაციები:

- აუცილებელია, გადაიხედოს სილაბუსებში შემავალი ძირითადი ლიტერატურა და ჩანაცვლდეს დარგში არსებული უახლესი და, რაც მთავარია, სამაგისტრო დონის ადეკვატური და მრავალფეროვანი ლიტერატურით.
- აუცილებელია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილ იქნეს პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კურსის რიდერებში შემავალი ლიტერატურა ჩამოთვლილი იყოს სილაბუსში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება.
- პროგრამა არ მოიცავს სამაგისტრო ნაშრომს და არც კვლევით პროექტს. ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა კურსების სილაბუსების ფინალური შეფასება არ მოიცავს წერითი დავალების შესრულებას, რაც რამდენიმე შემთხვევაში ლოგიკურია, თუმცა ძირითად შემთხვევებში არაადექვატურია კურსის შინაარსიდან გამომდინარე (მაგ. კურსი, რომელიც შეასწავლის ამა თუ იმ წერის ტექნიკებს, ვერ შეფასდება ზეპირი ფინალური გამოცდით).
- სამაგისტრო ნაშრომი ჩანაცვლებულია პრაქტიკითა და მასში შემავალი პროექტით, რაც არასაკმარისია კვლევითი უნარების განსავითარებლად.
- სტუდენტები საწარმო პრაქტიკაში ერთვებიან სწავლების მეოთხე სემესტრში და მუშაობენ სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომლებთანაც სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტს ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი და, აგრეთვე, პრაქტიკის მენტორი. სტუდენტს ევალება დაწეროს პრაქტიკის დღიური/ანგარიში და პრაქტიკის ობიექტის საჭიროებებზე მორგებული პროექტი საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. სემესტრის დასრულებისას სტუდენტი იცავს პრაქტიკის ანგარიშს და წარადგენს შემუშავებულ პროექტს სპეციალური კომისიის წინაშე. აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ პროექტი ჯგუფური ხასიათისაა და შესაძლებელია 2-3 სტუდენტის ჩართულობით მომზადდეს, რაც სტუდენტების ინდივიდუალურ შეფასებას ართულებს. ბუნდოვანია აგრეთვე, რა იგულისხმება პროექტის წარდგენაში - დაწერილი დოკუმენტის წარდგენა, თუ პრეზენტაცია კომისიის წინაშე.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის შეფასება არ მოიცავს რეცენზირების პროცესს, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია სტუდენტისათვის აკადემიური კვლევის უნარ-ჩვევების განსავითარებლად.
- ბუნდოვანია კომისიის დაკომპლექტების წესიც. პრაქტიკის სილაბუსში ვხვდებით ჩანაწერს, რომ კომისია იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და მის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, მდივანი, პრაქტიკის ხელმძღვანელი და წევრები, მათ შორის პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი (სავარაუდოდ, პრაქტიკის მენტორი), თუმცა გაუგებარი რჩება, რა კრიტერიუმების მიხედვით შეირჩევიან ამ კომისიის წევრები. მაგ. კომისია უნივერსიტეტის იმ პერსონალით არის დაკომპლექტებული, რომელნიც ასწავლიან პროგრამაში, თუ მოწვეულნი არიან დარგის ისეთი სპეციალისტები, რომელთაც მანამდე პროგრამასთან შეხება არ ჰქონიათ?
- დასახვეწია, აგრეთვე, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების სიაც, რომელიც, მართალია, მრავალფეროვანია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მოიცავს ისეთ ორგანიზაციებს, რომელნიც თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტისათვის საჭირო უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- პროგრამის ხელმძღვანელთან, პერსონალთან შეხვედრები
- პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები
- შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებლებთან/პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

- აუცილებელია, შემუშავდეს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის კონცეფცია, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტების ადექვატურ ჩართვას კვლევითი მიმართულებით
- აუცილებელია, გადაიხედოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების სია, რათა სტუდენტების პრაქტიკა დაიგეგმოს იმ ორგანიზაციებში, რომელნიც ადექვატურია მათი დარგობრივი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის

- სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების ერთ-ერთი ნაწილი აუცილებლად უნდა იყოს რეცენზირება დარგის სპეციალისტის მიერ, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით უნარების განვითარებას
- რიგ სილაბუსებში აუცილებელია ფინალური დავალება სამაგისტრო დონის ადეკვატური გახდეს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამაგისტრო პროექტი სტუდენტის ინდივიდუალური ნაშრომი იყოს, რათა გაადვილდეს შეფასების პროცესი
- სასურველია, დეტალურად გაიწეროს კომისიის დაკომპლექტების წესი და ვადები და შეტანილ იქნას სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციაში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა გამოიყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რომელნიც უზრუნველყოფს ადეკვატურ სასწავლო პროცესს - ესენია, მაგალითად, გონებრივი

<p>იერიში, ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, ქეისის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიტუაციის მოდელირება და სხვა.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სწავლების მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული კურსისთვის, რაც მისასაღებელია. სწავლის მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას დისკუსიებსა და სემინარებში. სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია განსავითარებელ დარგობრივ და ზოგადი კომპეტენციებთან.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესორებთან შეხვედრები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, კანონმდებლობასთან შესაბამისად. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დოკუმენტები: გამოცდების ჩატარების დებულება, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, სილაბუსები. პროგრამა არ ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას. შესაბამისად, ამ პროგრამას დოკუმენტები - გამოცდების ჩატარების დებულება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია - არ შეესაბამება. პროგრამაში გათვალისწინებულია პროექტის წარდგენა და პრაქტიკის დროს შეძენილი გამოცდილების წერილობითი სახით წარდგენა (პრაქტიკის ანგარიშის/დღიურის სახით). აღნიშნული პროექტისა და პრაქტიკის დაცვის კონცეფცია არ არის ნათლად ჩამოყალიბებული, არ არის წარმოჩენილი, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება სტუდენტი, არის თუ არა პროექტში კვლევითი კომპონენტი, და ა.შ. ფინალური პროექტი ჯგუფური ხასიათისაა და შესაძლებელია 2-3 სტუდენტის ჩართულობით მომზადდეს, რაც სტუდენტების ინდივიდუალურ შეფასებას ართულებს. ბუნდოვანია აგრეთვე, რა იგულისხმება პროექტის წარდგენაში - დაწერილი დოკუმენტის წარდგენა, თუ პრეზენტაცია კომისიის წინაშე. პროექტის შეფასება არ მოიცავს რეცენზირების პროცესს, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია სტუდენტისათვის აკადემიური კვლევის უნარ-ჩვევების განსავითარებლად.
- ძალიან ბევრ კურსს შეფასების მეთოდად გამოყენებული აქვს ზეპირი გამოცდა, რაც ბუნდოვანებას სძენს შეფასების მეთოდებს და გამჭვირვალობისთვის საზიანოა.
- რაც შეეხება ქულის გასაჩივრების წესს, სასწავლო უნივერსიტეტს გამოცდების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი წარმოდგენილი აქვს დოკუმენტში: „გამოცდების ჩატარების დებულება“, ხოლო აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან საუბრის დროს დადგინდა, რომ მათ ჰქონიათ მსგავსი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- გამოცდების ჩატარების დებულება
- სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქცია

<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუები ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> აუცილებელია, გადაიხედოს შეფასების მეთოდები და სადაც საგნის სპეციფიკა იძლევა საშუალებას, ჩანაცვლდეს წერითი გამოცდით, რათა შეფასების მეთოდები უფრო გამჭვირვალე გახდეს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ღია სასწავლო უნივერსიტეტის პოლიტიკური პიარ პიარტექნოლოგიები არის ახალი პროგრამა, პროგრამას არ ყავს კურსდამთავრებული. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის სასწავლო შედეგებს უნივერსიტეტი ვერ წარმოადგენდა. თუმცა ვიზიტის დროს აკრედიტაციის ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ შევხვედროდნენ სხვა, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.
- უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები საკმაოდ დადებითად აფასებენ უნივერსიტეტში გატარებულ წლებს. მათი თქმით, სწავლის პერიოდში უნივერსიტეტი ცდილობდა მათთვის ხელის შეწყობას როგორც სათანადო განათლების მიღებაში, ასევე კარიერულ განვითარებაში. უნივერსიტეტში არსებობს კარიერული ცენტრი, რომელიც სტუდენტებს აძლევს ინფორმაციას სხვადასხვა ორგანიზაციებში არსებული ვაკანსიების შესახებ, შესაბამისად სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ამ სერვისით.
- სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი სემესტრულად ატარებს გამოკითხვებს, რაშიც სტუდენტები აქტიურად იღებენ მონაწილეობას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს ორი თვის შემდეგ აცნობს სტუდენტებს, რაც, უდავოდ, კარგი პრაქტიკაა.
- ინტერვიუს დროს განხილული იქნა საკითხი ინდივიდუალური გრაფიკის შესახებ. უნივერსიტეტში ნამდვილად არის ინდივიდუალური გრაფიკის შედგენის გამოცდილება. ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ კონკრეტულად მისი გულისთვის ლექტორი მისულა უნივერსიტეტში და ჩაუტარებია ლექცია. სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ სტუდენტებს ხშირად გამოუყენებიათ საკონსულტაციო საათები.
- უნდა აღინიშნოს მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების ჩართულობა თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში. ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ

<p>პროგრამაზე მუშაობის პროცესში სტუდენტების მოთხოვნა მეტი და მრავალფეროვანი არჩევითი საგნების შეთავაზების თაობაზე, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა გაითვალისწინა და გაიზიარა.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი გახლდათ, პროგრამაში ჩართულ დამსაქმებლებთან შეხვედრაც ვიზიტის დროს. ინტერვიუებისას ყველამ აღნიშნა, რომ მათ გაეგზავნათ კითხვარი, რომელიც შეავსეს და პროგრამა მათი რეკომენდაციების მიხედვით იქნა შედგენილი.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გამოკითხვების შედეგების ანალიზი წლების მიხედვით ○ შრომის ბაზრის ანალიზი ○ ინტერვიუები სტუდენტებთან ○ ინტერვიუები დამსაქმებლებთან
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ღია სასწავლო უნივერსიტეტის ახალ პროგრამას პოლიტიკური პიარ ტექნოლოგიები ჰყავს საკმაოდ კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. მათთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ თითოეული მათგანი ძალიან აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, სტუდენტებს პროფესორები პროექტის წერის დროს უხელმძღვანელებენ. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ეს პროცედურა არ არის ჩაშლილი და შესაბამისად, რთულია შეფასდეს, რამდენად გამართულია ეს პროცესი. ასევე გაუგებარია, პრაქტიკის მსვლელობის პროცესში ვინ გაუწევს კურირებას სტუდენტებს (გარდა ორგანიზაციის წარმომადგენლებისა). პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას გაირკვა, რომ ამ პროცედურას ეყოლება კურატორი პროფესორი, თუმცა, აღსანიშნავია კიდევ ერთხელ, რომ ეს პროცედურა პროგრამის თანმხლებ დოკუმენტაციაში არ არის გაწერილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასების აგნარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- აუცილებელია დეტალურად გაიწეროს სტუდენტის ხელმძღვანელობის მექანიზმები სადიპლომო ნაშრომზე/პროექტზე/პრაქტიკაზე მუშაობის დროს .

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
--

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა „პოლიტიკური პიარ ტექნოლოგიების“ განმახორციელებელ პერსონალს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება, როგორც მათი პირადი საქმეებით, ისე ვიზიტის პერიოდში განხორციელებული ინტერვიუებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ძლიერი მხარე, სწორედ განმახორციელებელი პერსონალის პრაქტიკული გამოცდილებაა, რაც აღნიშნული დარგისთვის არსებით საჭიროებას წარმოადგენს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე, მოცემულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შერჩევის ეტაპები და პროცედურები, წარმოდგენილ დებულებებში გაწერილია განმახორციელებელი პირების დატვირთვის რეგულაცია. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის შემთხვევაში გვხვდება პრაქტიკული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში ჩართულობა, მაგრამ ნაკლებად არის წარმოდგენილი ბოლო 5 წლის განმავლობაში დარგობრივი სამეცნიერო პუბლიკაციები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ჯამური რაოდენობაა 30, მათ შორის 14 აკადემიური (3 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი) 10 აფილირებული აკადემიური პერსონალი (2 აფილირებული პროფესორი, 6 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 2 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი) და 16 მოწვეული პერსონალი. როგორც პროგრამის განმახორციელებელ, ისე მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტები აქტიურად და თანმიმდევრულად იღებენ კონსულტაციებს, მათ შორის არაფორმალური საკომუნიკაციო არხებით (Facebook ჯგუფები, Messenger და სხვა.) პროგრამის განმახორციელებელი პირების (აკადემიური, მოწვეული) დატვირთვა ითვალისწინებს სტუდენტების კონსულტაციას, რომელსაც სტუდენტები იღებენ და ეცნობიან სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის - emis-ის - მეშვეობით.
- პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა, როგორც პრაქტიკული, ისე სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი გამოცდილებით, მათ შორის აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო კვლევასა და პროექტში, რაც პროგრამის განვითარების

თვალსაზრისით უპირატესობას წარმოადგენს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დებულებებში ნათლად და მკაფიოდ არის გაწერილი პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და ინტერვიუების შედეგადაც დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი თავად არის აქტიურად ჩართული პროგრამის შემუშავებაში, კურიკულუმის შექმნაში, ადამიანური რესურსის მოზიდვაში, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის მიზნით პროგრამაში ჩართული არიან არა მხოლოდ ქართველი, არამედ საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტები. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად თანამშრომლობს არა მხოლოდ დაწესებულების შესაბამის რგოლებთან (მაგალითისთვის ხარისხის სამსახური), არამედ პოტენციურ დამსაქმებლებთან და ახდენს პრაქტიკის ობიექტების აქტიურად მოზიდვასა და თანამშრომლობის უზრუნველყოფაზე ზრუნვას.

- უსდ-ს სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან საჭირო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რაც დასტურდება, წარმოდგენილი დებულებებით, სამუშაო აღწერილობებით და ასევე, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები-უნივერსიტეტის დებულება; პროგრამის განხორციელების წესი; სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები-პერსონალის მართვის წესი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩამონათვალი;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია- სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- დაწესებულებაში, როგორც ეს ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ხორციელდება აკადემიური პერსონალის შეფასება, თუმცა აღნიშნული შეფასება მეტწილად მოიცავს სტუდენტების კმაყოფილების კვლევას და უშუალოდ სასწავლო საქმიანობის ირგვლივ უკუკავშირის მიღებას. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად არის წარმოდგენილი სამეცნიერო საქმიანობის მექანიზმები, ასევე, პროფესიული განვითარების მიზნით არის განხორციელებული ცალკეული ტრენინგები და აქტივობები, თუმცა კვლევითი უნარების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში ნაკლებად. დაწესებულებაში არსებობს სამეცნიერო ჟურნალი, სადაც პერსონალს აქვს შესაძლებლობა დაბეჭდოს ნაშრომები, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს მკაფიო მექანიზმი, სადაც განსაზღვრული იქნება კონფერენციებში მონაწილეობის, კვლევითი პროექტებისა თუ რეფერირებად პუბლიკაციებში გამოქვეყნების სტიმულირების პროცედურა და წესი. მით უფრო,

რომ ინტერვიუების შედეგად, აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა ინფორმაცია, იმის შესახებ თუ რა ტიპის განმავითარებელი შესაძლებლობები ან მასტიმულირებელი აქტივობები არსებობს. ასევე, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ იზრუნოს აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებზეც, იქნება ეს საერთაშორისო მობილობა (მათ შორის, Erasmus+), თუ სხვა სახის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციები, ტრენინგები, პუბლიკაციები და სხვა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ინტერვიუები ვიზიტის დროს
 - პერსონალის განვითარების ღონისძიებები
 - კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების გაფართოვება
 - სასურველია, აკადემიური პერსონალის პროფესიული და კვლევითი უნარების განვითარების მკაფიო მექანიზმის შემუშავება და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება ამ მექანიზმების შესახებ

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- შეფასება**
- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ბიბლიოთეკის რესურსებთან წვდომა სტუდენტებს აქვთ, როგორც ადგილზე, ისე სასწავლო ლიტერატურის დიდი ნაწილი გაციფრულებულია, როგორც ეს ინტერვიუების დროს გამოიკვეთა. სტუდენტებს აქვთ წვდომა sciencedirect ბაზაზე და შესაძლებლობა Elsevier კვლევებსა და პუბლიკაციებს გაეცნონ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის მოძიება და ბიბლიოთეკის ბაზაში არსებობა არ დადასტურდა. როგორც თავად აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, ისინი უზრუნველყოფენ მასალების მიწოდებას და წვდომას სტუდენტებისთვის. ამავდროულად, მთელ რიგ სილაბუსებში გვხვდება მოძველებული ან/და სამაგისტრო საფეხურისთვის არარელევანტური ლიტერატურა, რომელიც უნდა განახლდეს შესაბამისი თანამედროვე წყაროებით (მაგალითად, Ryan, C. (1991). Prime time activism: media strategies for grassroots organizing. South and Press Publishing; დენის ლ. უილკოქსი, გლენ ტ.კამერონი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტრატეგია და ტაქტიკა; თბ. 2011; რობერტ ბლაი - პიარი მარტივად, და სხვა.)
- აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურა, აუდიტორები, მედია ლაბორატორია.
- მატერიალური რესურსის თვალსაზრისით დაწესებულებას გააჩნია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურული რესურსი პროგრამის განსახორციელებლად, რისი ნახვაც შესაძლებელი იყო zoom პლატფორმის მეშვეობით. სასურველია, მედიამონიტორინგის უფრო ეფექტიანი სწავლებისთვის გამოყენებულ იქნეს შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო ბაზები
- შეფასების დროს შენობის დათვალიერება Zoom პროგრამის მეშვეობით

<ul style="list-style-type: none"> ○ სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ბიბლიოთეკაში მოხდეს სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურის ასახვა ○ განახლდეს ძირითადი ლიტერატურა და მოვიდეს შესაბამისობაში სამაგისტრო საფეხურთან
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია მედია მონიტორინგის სწავლება განხორციელდეს სპეციალური კომპიუტერული პროგრამების საშუალებით
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი, რომელიც 20 სტუდენტზეა გათვლილი და ამავდროულად, გაწერილია როგორც სახელფასო, ისე პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული ხარჯები. ეკონომიკურად აღნიშნული ბიუჯეტი მიღწევადია, თუმცა, უმჯობესია თუ იარსებებს პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი იქნება ამ სამოქმედო გეგმის ნაწილი, რაც უფრო მკაფიოს გახდის პროგრამის ეკონომიკურ ეფექტიანობას.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> პროგრამის ბიუჯეტი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> სასურველია ბიუჯეტი არსებობდეს არა ცალკეული დოკუმენტის სახით, არამედ პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმის ნაწილი იყოს.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ვიზიტის პერიოდში და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შიდა ხარისხის შეფასების მთელი რიგი მექანიზმები: <p>დაწესებულებას დეტალურად აქვს გაწერილი პროგრამის შემუშავების მექანიზმები, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების და შედეგების გაუმჯობესების მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ერთად ხორციელდება პროგრამის შემუშავება და განვითარებაზე მუშაობა, ხორციელდება პროგრამის გასაუმჯობესებლად კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვა და დასახვა. ხარისხის უზრუნველყოფის და პროცესის მონიტორინგის ციკლი დეტალურად არის აღწერილი დოკუმენტში: „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები.“</p> ○ შიდა ხარისხის შეფასება მოიცავს: <p>პირდაპირი შეფასების შემდეგ კომპონენტებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) აკადემიური მოსწრების ანალიზი

გულისხმობს ცალკეული სასწავლო კურსებით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავების ხელშეწყობი და/ან შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენის და აღმოფხვრის შესაძლებლობას, სტუდენტთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე.

ბ) სწავლის შედეგების რუკა

წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ინდიკატორს, რომელიც იძლევა პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შედარების საშუალებას. რუკა გვიჩვენებს, თუ რომელი კურსით/კურსებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავება.

○ **არაპირდაპირი შეფასების კომპონენტებს**

გ) პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა

ხდება ინფორმაციის შეგროვება (კითხვარების გამოყენებით) პროგრამით კმაყოფილების შესახებ, რომლითაც ფიქსირდება სტუდენტის მოსაზრება იმის შესახებ რამდენად უზრუნველყოფს პროგრამა მისი პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რამდენად რეალური და მიღწევადია სასწავლო კურსით/პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციები და უზრუნველყოფილია თუ არა მისი სამეცნიერო აქტივობების და კვლევის ხელშეწყობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ფორმალური კვლევების გარდა, აქტიურად აქვს დანერგილი ხარისხის სამსახურს არაფორმალური შეხვედრები სტუდენტებთან უკუკავშირის მიღების მიზნით და შემდგომში მათი პრეფერენციების შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების შესახებ ერთგვარი „reporting“ წარმოება.

დ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევა

ინფორმაციის შეგროვება პროგრამით ან ცალკეული სასწავლო კურსით, სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შესახებ.

ე) დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები
- ინტერვიუები მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- სწავლის შედეგების შემუშავების მეთოდოლოგია
- გამოკითხვის ფორმები და კვლევის შედეგები

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს შემუშავებული აქვს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები, პროგრამა „პოლიტიკური პიარ ტექნოლოგიები“ შეფასებულია გარე ექსპერტების მიერ. როგორც ინტერვიუების, ისე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ჩანს, რომ გარე შეფასების მექანიზმის მიხედვით, პროგრამის შეფასება ხორციელდება პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამსაქმებლების მიერ. ○ მთლიანობაში გარე ექსპერტების შეფასება ძალიან პოზიტიურია. ისინი არ იძლევიან რაიმე ტიპის მკაცრ და აუცილებლად გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გარე შეფასებები, რომელიც თან ერთვის პროგრამას ○ ინტერვიუები დამსაქმებლებთან ვიზიტის დროს
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნით ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებაზე, რომელიც მოიცავს ხარისხის პირდაპირი (აკადემიური მოსწრების ანალიზი და სწავლის შედეგების რუკა) და არაპირდაპირი (დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი) შეფასების ფორმებს, უზრუნველყოფს დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების პროცესში; მოპოვებული ინფორმაციის სისტემურ ანალიზს და დასკვნის სახით ფორმულირებული შედეგების გამოყენებას პროგრამის კორექტირება/ მოდიფიცირების თვალსაზრისით. პროგრამის ეფექტიანობის მონიტორინგი და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით პროგრამის ფარგლებში მთავარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების წესი“. ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამა ახალია, შესაბამისად, გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები პროგრამის შემუშავების დონეზე.
- დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობს გამართულად, მათ მოწესრიგებული აქვთ დოკუმენტაცია და ნათელი წარმოდგენა გააჩნიათ, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას კარგი პროგრამის შემუშავებისა და ფუნქციონირებათვის, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ პროგრამაში არსებულ დასახვეწე საკითხებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ისევე როგორც მთლიანად სასწავლო უნივერსიტეტის მეტი ჩართულობაა მიზანშეწონილი პროგრამის შედგენისას ხარვეზების თავიდან ასაცილებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შეფასების წესი
- გამოკითხვის ფორმები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამადასტურებელი ანგარიშები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: პოლიტიკური პიარტექნოლოგიები, სამაგისტრო პროგრამა


პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნატალია თვალჭრელიძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ლელი ბიბილაშვილი 

თამარ თავხელიძე 